

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მაია მიქავას ანგარიში 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 01 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - მაია მიქავა
თანამდებობის დასახელება- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე.

ფრაქციის დასახელება—„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.
კომისი(ებ)ის დასახელება - სოციალურ საკითხთა კომისია, იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისია.

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- პროპორციული, N68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქი.

საანგარიშო პერიოდი- 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 01 ნოემბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1.საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა- 22
საკრებულოს სხდომებზე დასწრება _ 21

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _33
კომისიის სხდომებზე დასწრება _ 33

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 10
ფრაქციის სხდომებზე დასწრება -10

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ა) 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე;
- ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018–2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე;
- გ) მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის(2018-2022წწ.) განხილვის შესახებ.
- დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე;
- ე) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;
- ვ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;
- ზ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
- თ) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის განაწილებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუნდებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტის დაზუსტების წესების დამტკიცების შესახებ“
- ი) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ;
- კ) წალენჯიხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ;
- ლ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ;

- მ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე;
- ნ) „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“;
- ო) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულებების დამტკიცების შესახებ;
- პ) პეტიციები სხვა მიმდინარე საკითხები.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 8
შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 200

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: მუნიციპალიტეტში მოქმედ ჯანდაცვის პროგრამებში დაწესებული კრიტერიუმების მოხსნა ან გარკვეულწილად „შერბილება“, რაც შესაძლებელს გახდის ამ პროგრამებში მოსახლეობის მეტი სპექტრის ჩართულობას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კატეგორიაზე სოციალური დახმარების მოხსნაზე კონტროლის მექანიზმის შემუშავება.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)
შშპ პირთა შინმოვლის პროგრამის ამოქმედება, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ დაზარალებულ მოსახლეობაზე დახმარების გაწევა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა
აქტიურად ემონაწილეობ კომისიების მუშაობაში, კომისიის სხდომებზე განხილულ საკითხთან დაკავშირებით დასკვნების მომზადებაში.

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში, ყველა პრობლემა რომელიც წამოჭრილ იქნა ამომრჩევლებთან შეხვედრისას განხილულ იქნა ფრაქციის სხდომაზე და მიეცა სათანადო რეაგირება.

შევსების თარიღი-31.10.2018 წ.

წარდგენის თარიღი _31.10.2018 წ.

ხელისმოწერა მ. მიქვა